

შეჯიბრება ქვეჭიდში (კატამე ვაზა, ნევაზა)

წესები

1. შეხვედრა იწყება დგომში (ნაგე ვაზა, ტაჩივაზა) რა დროსაც ძიუდოისტებს ეძლევათ ნახევარი წუთი, რომ მოწინააღმდეგე გადაიყვანონ ქვეჭიდში (ნევაზაში) ზოგადი წესების სრული დაცვით. ნაგევაზაში შესრულებული გდება არ ფასდება.
2. თუკი ამ ხნის განმავლობაში (30 წამი) ვერცერთმა მონაწილემ ვერ შეძლო შეხვედრის ქვეჭიდში (ნევაზაში) გადაყვანა, მსაჯი აჩერებს შეხვედრას და მიუთითებს ძიუდოისტებს ნევაზაში გადასვლაზე: პოზიცია ერთმანეთის პირისპირ, მუხლებზე თანაბარი ჩავლებით.
3. ნევაზაში ჭიდაობის დროს მთელი შეხვედრის განმავლობაში დაუშვებელია ფეხზე წამოდგომა, რაც თავის მხრივ ისჯება გაფრთხილებით (შიდო). აღნიშნული წესი მოქმედებს შეტევის წამოდგომით დაცვის შემთხვევაშიც.
4. გაფრთხილებებთან დაკავშირებით მოქმედებს იგივე წესი, რაც დგომში ჭიდაობის დროს. სამი გაფრთხილების შემთხვევაში მოწინააღმდეგეს ეძლევა გამარჯვება. გაფრთხილება შეიძლება მიეცეს სპორტსმენს, როგორც არასწორი ჩავლების, ასევე პასიურობის შემთხვევაში. პასიურობისთვის გაფრთხილების მიცემამდე ჯერ ხდება მსაჯის მხრიდან შენიშვნის მიცემა პასიურ ძიუდოისტზე (სოლომამა-თეთრი/ლურჯი პასიურია), რაც ფიქსირდება ოფიციალურად დამხმარე მსაჯების მიერ, ხოლო შენიშვნის მიცემიდან 5 წამში თუ არ გააქტიურდა ძიუდოისტი მას ეძლევა შიდო.
5. ჩვეულებრივი შეჯიბრებისგან განსხვავებით, აქ ერთი შებოჭვით არ ხდება გამარჯვებულის გამოვლენა, ანუ პირდაპირ იპონი შებოჭვაზე (ოსაე ვაზა) დაჭერით არ მოიპოვება. ამის ნაცვლად, შებოჭვა ითვლება 10 წამამდე და ასეთის არსებობის შემთხვევაში ძიუდოისტს ეძლევა ვაზარი ხოლო შეხვედრა გრძელდება თანაბარი ჩავლების მდგომარეობაში: მუხლებზე ერთმანეთის პირისპირ. მეორე შებოჭვით ვაზარის აღების შემთხვევაში შეხვედრა წყდება და ორი ვაზარის ამღებ ძიუდოისტს მიეკუთვნება გამარჯვება.
6. კანსეცუ ვაზა(მტკივნეული) და შიმე ვაზა (მოგუდვა) შესრულების შემთხვევაში ამ კონკრეტულ შეჯიბრებაზე იმოქმედებს ზოგადი წესი, რაც გულისხმობს მის შესრულებას ბოლომდე, მოწინააღმდეგის მხრიდან ხელის დარტყვით, დანებებით გამოხატვამდე. რაც შეეხება შემდგომში უფრო პატარ ასაკის ძიუდოისტებთან მიმართებაში გასამართ შეჯიბრებებს, შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ შემდეგი პრინციპით: კანსეცუ ვაზა , მტკივნეული: ნაცვლად იმისა, რომ მსაჯი დაელოდოს

ძიუდოისტს, როდის დაარტყამს ხელს დანებების ნიშნად, რა წამს დაინახავს, რომ ტექნიკა შესრულებულია, ანუ ხელი გადაშლილია სრულად, აჩვენებს იპონს და წყვეტს შეხვედრას. აღნიშნულის მიზანია ტრავმის თავიდან არიდება, თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ ამით ერთგვარი მითითება ეძლევათ ძიუდოისტებს არ დაუშვან მოწინააღმდეგის მხრიდან შეტევის ამ დონემდე მიყვანა, რამეთუ მის დამთავრებას უკვე ნევაზას 10-დან 9 კარგად მცოდნე ძიუდოისტი თავისუფლად შეძლებს. იგივე პრინციპი იმოქმედებს შიმევაზას მოგუდვის ტექნიკის შესრულების ყველა იმ შემთხვევაში, სადაც აშკარად ჩანს შეტევის სრულყოფილი პოზიცია, ანუ შემტევი ხელის და კიძანოს საყელოს დაფიქსირება ყელთან, რაც უნდა გამოიხატოს შეტევის დაწყებაში. შესაბამისად, მსაჯისთვის ამ ორი მომენტის დაფიქსირება - 1. ჩავლება ყელთან და 2. შეტევის დაწყება არის სრულიად საკმარისი, რომ აჩვენოს იპონი და შეწყვიტოს შეხვედრა.

7. შეხვედრა გრძელდება 4 წუთი. თუ ძირითად დროში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, იწყება დამატებითი დრო გამარჯვებულის გამოვლენამდე.

8. ისევე როგორც დგომში (ნაგევაზა), აქაც ნევაზაში პასიურობაზე შესაძლებელია ორივე ძიუდოისტის მოხსნა ერთდროულად.

9. მუცელზე წოლით თავის პასიური დაცვა ითვლება ავტომატურად პასიურობად, რაზედაც როგორც სხვა შემთხვევაში მსაჯი აფრთხილებს ძიუდოისტს (სოლომამა-პასიური ლურჯი/თეთრი) და არგააქტიურების შემდეგ (5 წამი) აძლევს შიდოს .

პროექტის ხელმძღვანელი დავით ქევხიშვილი